**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N** Y-16/04/264

(სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ)

**CPV: 75230000 - სამართლებრივი მომსახურებები**

ქ.თბილისი 04 ივლისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, *სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორმეთის საჯარო სკოლა* (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გარდახაბაძის სახით და მეორეს მხრივ, *სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"* (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ბადრი ნიაურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ[6]" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის N73\ნ ბრძანების საფუძველზე და სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორმეთის საჯარო სკოლის 2012 წლის 04 ივლისის N03-1\3130 წერილის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.ხელშეკრულების ობიექტია მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა, კერძოდ - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განხორციელება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით (სტატუსი - ხელშეკრულება გაფორმებულია).

2. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გაწეული მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება**

1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს თვეში 300 (სამასი) ლარს დღგ-სა და ყველა სხვა გადასახადის ჩათვლით.

**მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

**მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

1.მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2012 წლის 09 ივლისიდან 2012 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით.

2.მომსახურების გაწევის ადგილია - ქ.თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული.

**მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რაც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.